№ 56 მთავრობისა და მთავრობისა

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი ნელინადი მესამე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 10 მარტი 1920 წ.

მთავრობის მიერ, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

„აბერა ს. ი. ეფდალიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, მარტის 10, მე-4 გასტროლი ნინო ბ. კოშიცის **ბოგემა.** ხუთშაბათს, 11 ს მარტს, გ. ნ სტარისტინის მონაწილეობით „ტრავიატა“. პარასკევს, 12 მარტს, მეხუთე გასტროლი ნ. ბ. კოშიცის „ევგენი ონეგინი“. შაბათს, 13 მარტს ოპერა მუშებისათვის „ტრავიატა“. კვირას, 14 მარტს, დილით „ქეთო ლ კოტე“. საღამოს ს. გ. მანდელოვის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. მზადდება დასადგმელად გლუზოვეცკის ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. 299

ევროპიულ-კავკასიური საგაჭრო ბანკის საბჭო

ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისში, რუსთაველის პრ., № 17, არაბიანცის სახლში, ამა წლის 14 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა საზოგადო წლიური კრება. დღის წესრიგი: 1) 1919 წლის ანგარიშის დამტკიცება, 2) 1919 წლის მოგების განაწილება, 3) 1920 წლის ხარჯების დამტკიცება, 4) არჩევნები: ა) ბანკის საბჭოს წევრებისა. ბ) გამგეობის წევრისა, თანახმათ წესდების 35 მუხლისა, გ) სარევიზიო კომისიისა. 5) ბანკის ძირითადი თანხის გადიდება, 6) ბანკის განყოფილებების და საagენტოების გახსნა. 7) ბანკის საქმეროებითვის უძრავი ქონების შეძენა, 8) შეცვლა და შევსება ბანკის წესდებისა. 9) მიმდინარე საკითხები.

250 12—2 ევროპიულ-კავკასიური საგაჭრო ბანკის საბჭო

საქართველოს ცენტრალური საგაჭრო-სამრეწველო ბანკის

(ცენტრო-ბანკის) აქციონერთა პირველი საზოგადო კრება გადაიდგა; კრება შესდგება კვირას, 21 მარტს, დილის 12 საათზე (ტფილისი, პუშკინის ქუჩა № 3. ტელეფ. № 3—46) 290

ქართულ მერძევეთა ამხანაგობა

„განთიადის“ გამგეობა აცხადებს თავის მეპაეთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 21 მარტს დღის 12 საათზე კერძო ლონდარის შენობაში დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება ამხანაგობის მეპაეთა დღის წესრიგი: 1. განხილვა და დამტკიცება 1918/19 წლების ანგარიშებისა. 2. გამგეობის წევრის არჩევა. 3. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა. 4. მიმდინარე საკითხები. 413 2—1

საქართველოს მუზეუმის საალმფენებლო კომისია

აცხადებს, რომ მარტის 10 ს, დილის 10 საათზე მუზეუმის კანცელარიაში (ლორის მელიქოვის № 10 მოხდება შეკიბრება 100.000 აგურის და 10 კუბიკ. ხაჟ. გაჯის ბოტანა-დაწყობის შესახებ.

შეკიბრებისა და ტექნიკურ პირობების გაცნობა შეიძლება მუზეუმის კანცელარიაში. 297

ოფიციალური განყოფილება

დამატება № 8.

სამეჯნაო განყოფილების შტატი.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თითოს.	წლიური ჯამაგირი თითოს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მ ა ნ ე თ ი.		
	9. ცენტრალი დაწესებულება.				
1	განყოფილების გამგე	1	5000	60000	60000
2	მისი თანაშემწე	1	4000	48000	48000
3	გამოჯვნის რევიზორი	1	3500	42000	42000
4	ტფილისის სამეჯნაო ოლქის გამგე	1	3500	42000	42000
5	სამეჯნაო განყოფილების ინსპექტორის თანაშემწე	1	3500	42000	42000
6	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
7	მანქანით გადამწერი	2	1300	15600	31200
8	შიკრიკი	2	1225	14700	29400
9	სამეჯნაო არქივის გამგე	1	1300	15600	15600
10	გეოდეზიურ იარაღთა საწყობის გამგე	1	1300	15600	15600
11	რეგისტრატორი	1	1300	15600	15600
	მაზრებში.				
12	სამეჯნაო სამაზრო განყოფილებათა გამგე	17	3500	42000	714000
13	მიწის მზომელი	90	3000	36000	3240000
14	მიწის მზომლის თანაშემწე	54	2000	24000	1296000
15	საქმის მწარმოებელი	17	1300	15600	265200
16	მანქანით გადამწერი	1	1300	15600	15600
17	დარაჯი	17	1225	14700	249900
	ჯამი	—	—	—	6146100

1920 წ. თებერვლის 20-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დამატება № 9.

აგრარულ რეფორმათა განყოფილების შტატი.

	10. ცენტრალი დაწესებულება.				
1	განყოფილების გამგე	1	5000	60000	60000
2	მისი თანაშემწე	1	4000	48000	48000
3	მდივანი	1	2500	30000	30000
4	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
5	მისი თანაშემწე	2	1500	18000	36000
6	რეგისტრატორი	2	1300	15600	31200
7	მანქანით გადამწერი	2	1300	15600	31200
8	შიკრიკი	1	1225	14700	14700
	ჯამი	11	—	—	275100
	ადგილობრივი დაწესებულება.				
1	მინისტრის რწმუნებული	2	4000	48000	96000
2	საადგილ-მამულო განყოფილებათა გამგე (სამაზრო ერობებთან)	20	3500	42000	840000
3	საადგილ-მამულო განყოფილებათა ინსტრუქტორი (თითო განყოფილებაზე ორ-ორი ინსტრუქტორი)	40	2000	24000	960000
4	განყოფილებათა საქმის მწარმოებელი	20	2000	24000	480000
	ჯამი	82	—	—	2376000
	სულ აგრარულ განყოფილებას.	—	—	—	2651100

1920 წ. თებერვლის 20.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დამატება № 10.

გადასახლების განყოფილების შტატი.

	11. გადასახლების განყოფილება				
1	განყოფილების გამგე	1	5000	60000	60000
2	მისი თანაშემწე	1	4000	48000	48000
3	საქმის მწარმოებელი	2	2000	24000	48000
4	მისი თანაშემწე	1	1500	18000	18000
5	რეგისტრატორი	1	1300	15600	15600
6	მანქანით გადამწერი	2	1300	15600	31200
7	გადასახლების რაიონის გამგე	6	3500	42000	252000
8	შიკრიკი	1	1225	14700	14700
	ჯამი	15	—	—	487500
9	აგენტი	1	3000	36000	36000
10	ავტომობილის გამგე	1	3000	36000	36000
11	შოფერი	1	3000	36000	36000
12	მისი თანაშემწე	1	2500	30000	30000
	ჯამი	4	—	—	138000
	სულ გადასახლების განყოფილებას	19	—	—	625500

1920 წ. თებერვლის 20-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დამატება № 11.

ცენტრალი სტატისტიკური კომიტეტი.

	12. ცენტრალი სტატისტიკ. კომ.				
1	თავმჯდომარე	1	5000	60000	60000
2	განყოფილების გამგე	4	4000	48000	192000
3	სტატისტიკოსი	25	2551-50	30618	765450
4	კონტროლიორი	5	2126 50	25518	127590
5	საქმის მწარმოებელი	1	2126 50	25518	25518
6	ბურნალისტი	1	1732 50	20790	20790
7	მოანგარიშე	28	1575	18900	434700
8	მანქარით გადამწერი	1	1300	15600	15600
9	შიკრიკი	2	1225	14700	29400
	სულ სტატისტიკურ კომიტეტს	63	—	—	1671048
	სულ სამინისტროს	—	—	—	49553940

1920 წ. თებერვლის 20-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განკოფილება

დღიური შენიშვნები

შინაური სიმტკიცე.

დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ერთი რამ: იმდენად მაგრად ვგრძნობთ თავს გარეშე, რამდენადაც შინ ვართ ძლიერნი, იმდენად გვიწევენ ანგარიშს და გვაფასებენ საერთაშორისო ურთიერთობაში, რამდენადაც მტკიცდება ჩვენი შინაური სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რამდენადაც ჩვენ ვაფასებთ ჩვენ თავს და თავდადებული კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკური შემოქმედებით ვამაღლებთ ჩვენს სახელმწიფოებრივობას.

ამიტომ არავითარმა საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებამ, არავითარმა ნაბიჯმა საგარეო პოლიტიკაში გადადგმულმა არ უნდა დაგვავიწყოს შინაური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გაძლიერება და გაჯანსაღება. შინაური ცხოვრება საზღვარს დამიმართულებას აძლევს საგარეო ურთიერთობას და განწყობილებას.

უნდა ვთქვათ, რომ დღეს საქართველოში ყველა დარგში დიდი მუშაობა სწარმოებს და ეს არის საუკეთესო თავდები ჩვენი სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისათვის. რომელი მხარეც უნდა მიიღოთ ჩვენი ცხოვრების, ეკონომიური თუ კულტურული, საერობო თუ მუნიციპალური, ცენტრალური თუ ადგილობრივი, ყველგან გაფაციცებული საქმიანობის ციებ-ცხელებაა.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით რაში მდგომარეობს უსუსტესი მხარე ჩვენი ცხოვრებისა. ეს სასურსათო და საფინანსო კრიზისია, რომელიც საშინლად არყევს და აჩანაგებს ჩვენს მდგომარეობას. ცხადია ამ კრიზისს დროზე უნდა მოუნახოთ შესაფერი მალამო. აქ მართებს სახელმწიფოს და მის ორგანოებს დიდი უნარის და გამჭრიახობის გამოჩენა. სასურსათო-საფინანსო, საზოგადოდ ეკონომიური დავრდომილება საყოველთაო მოვლენაა და ამ სფეროში უებად რაიმე განსაკუთრებული დადებითი ნაყოფის გამოღება მოსალოდნელი არ არის. მაგრამ სისტემატიური შრომა და ფრთხილი, ჯანსაღი პოლიტიკის წარმოება ნელ-ნელა აქაც სასურველ შედეგებს მოგვცემს და ჩვენი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება გამოსწორდება.

ოპოზიცია.

როდესაც ჩვენ შინაურ სახელმწიფურ ურთიერთობას ვითვალისწინებთ, ჩვენ არ გვავიწყდება ის თვალსაზრისი, ის მეტოდი, რომლის მომარაგება აუცილებელია ამ ურთიერთობის განხილვისა და სწორად გაგებისათვის. ეს არის ისტორიული თვალსაზრისი, შედარებითი მეტოდი, ურომლისოდაც ჩვენ ვერაფერს ვერ გაგიგებთ თანამედროვე ცხოვრების ოროომტრიალში.

თუ ფრაქციულ ჟინიანობას არ გამოვეკიდებით და ამ მხრით შევხედავთ ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობას, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ საერთო წინსვლა გაუმჯობესება, როგორც სამხედრო ძლიერების გაზრდაში ისე სამოსამართლო და ადმინისტრატიულ წესიერების დამყარებაში. საერთო პოლიტიკის გეზი და ხასიათი ასეთია. ამას ვერასოდეს ვერ შესცვლის რომელიმე დასაგმობი ფაქტის აღნიშვნა და კერძო ნაკლულევანების გამო ისტერიული ევრიკა!

პატრიოსანი კრიტიკა დამყარებული უნდა იყოს ფაქტების ობიექტიურ განხილვაზე და საერთო პოლიტიკის მიმართულების პირუთვნელ დაფასებაზე. უამისოდ კრიტიკა კრიტიკანობად და დორბლმორეულ გინებად გადაიქცევა და დაკარგავს ყოველგვარ პოლიტიკურ აღმზრდელობით მნიშვნელობას ხალხისათვის და საზელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის. ეს უნდა ახსოვდესთ იმ ოპოზიციურ ფრაქციებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ოპოზიციონერობენ, რომ იოპოზიციონერონ და საქვეყნოდ ამტკიცონ თავის პოლიტიკური უპასუხისმგებლობა სახელმწიფოს და ისტორიის წინაშე.

მათ თითქოს სრულიად არ აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, აინუნშიაც არ მოსდით ის საზოგადო სიძნელე და დაბრკოლებანი, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდება ჩვენს დემოკრატიას. მათთვის არც საგარეო პირობების სიდუხჭირე არსებობს და არც შინაური პირობების სირთულე. ამოუღიათ ნიშანში მთავრობა და მისი მოქმედების და პოლიტიკის გასაბიაბრუებლად აღარაფერს ზოგავენ, რომ მიზანს მიაღწიონ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან.

აი ასეთი ოპოზიცია სრულებით მოკლებულია სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და უნარიანობას.

მთავრობას თავის მოვალეობა კარგათ ესმის. იგი პირნათლად ასრულებს და შეასრულებს თავის მოვალეობას საქართველოს დემოკრატიის, ერის წინაშე. თითოოროლა ფაქტი ამა თუ იმ ადმინისტრაციის მოხელის უვარგისობისა არ უნდა ჩაითვალოს მთავრობის ავ-კარგიანობის საზომად, მის განსაკიცხავად და დასაგმობათ, იმ დროს, როდესაც მთავრობა სასტიკად ებრძვის ზოგიერთი ადმინისტრაციის მოხელეთა თავგასულობას. ყოველთვის მომხრე ვიყავით და ვართ საქმიანი ოპოზიციის, მაგრამ ეხლანდელმა ოპოზიციამ, ვშიშობთ დათვური სამსახური არ გაგვიწიოს. მეტი სიდინჯე, წინდახედულება და ფაქტების ობიექტიურად აწონ-დასწონა მართებს ჩვენს ოპოზიციას...

მთავრობაში

19 თებერვლის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ევგ. გეგეჭკორი; მინისტრები—ბ-ნნი კანდელაკი, ხომერიკი; მინისტრის ამხანაგები—პ. ჩაძე, ჭავჭანიძე, ბახტაძე, ავალიანი, გედევანიშვილი; დეპ. დირ.—გ. ჟორდანია; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. დიდებულიძე.

ხუთწლეულები ხახალხო მასწავლებელთათვის.

მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პროექტი დეკრეტისა სახალხო მასწავლებელთა ხუთწლეულებით დასაკმაყოფილებლათ 4,293,333 მან. გადადების შესახებ.

დახმარება საზ. „შევარდენს“.

სამინისტრო საზ. „შევარდენი“-ს უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ (შეკეთება დაზიანებულ იარაღისა, ელექტრონის სადგურის და შენობების, გათბობა-განათება და მთავარ შენობის მოწყობა) გადადის განათლების მინისტრის განკარგულებაში 150,000 მან. ეს თანხა განათლების უწყებამ გამოითხოვოს კანონმდებლობითი წესით.

საექიმო-სასანიტარო დეპარტამენტის დაარსება.

დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საექიმო სასანიტარო დეპარტამენტი, რომლის დებულება პრინციპიალურათ მიღებულ იქნას, ხოლო მოხსენება შტატებითურთ და ხარჯთ-აღრიცხვით გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს და ფინანსთა მინისტრს.

სანაპირო საექიმო მეთვალყურე სადგურების შტატები.

ფოთის საზღვაო საკარანტინო, სოხუმის საზღვაო საექიმო და სანაინის სანაპირო საექიმო მეთვალყურე სადგურების ხარჯთ აღრიცხვა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას სათანადო უწყების მიერ დეკრეტის წარდგენით.

21 თებერვლის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნ. ჟორდანია: მინისტრები—ბ-ნნი ლორთქიფანიძე, კანდელაკი, გეგეჭკორი, არსენიძე; სახელწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჩაჩანიძე, ბახტაძე, გედევანიშვილი, ჭიჭინაძე, ცინცაძე, ოდიშელიძე; დეპ. დირექტორები ბ-ნნი ჭიჭინაძე, ჟორდანია; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. ლომთათიძე.

შტატს გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა დაკმაყოფილება.

გადაიდოს გადასახადთა და ხაზინის სამმართველოს უფროსის განკარგულებაში 5,050 მან. 10 მილიონიან ფონდიდან შტატს გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლათ.

კულტურულ-განმანათლებელ სექციის შტატები.

სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის შტატები და ხარჯთ აღრიცხვა საბიუჯეტო წლის ბოლომდე მიღებულ იქმნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას მცირედი შესწორებით.

დანიშვნანი.

იუსტიციის მინისტრის მდივანი ილ. ან. ადამიძე დაინიშნოს ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრათ; ალექს. ბეს. მხეიძე—სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრათ.

სამეცნიერო დეპარტამენტის დაარსება.

საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დეპარტამენტის შტატები და ჯამაგირების ნორმები, შემუშავებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ა/წ. 19 თებერვლის სხდომაზე მიღებულ იქმნას 1 მარტიდან.

გადაიდოს დეპარტამენტისთვის საჭირო სამეურნეო ხარჯებისათვის 60,000 მან. და კავკავიდან, ყიზლარიდან, ყუბანიდან, გეორგიევსკიდან და სხვა ადგილებიდან არქივების გადმოსატანათ—ავანსათ 600,000 მან.

აღნიშნული დეპარტამენტი დაექვემდებაროს განათლების სამინისტროს. დეპარტამენტის დირექტორათ დაინიშნოს პ. პ. გელეიშვილი, რომელსაც დაეკალოს ეხლავე შეუდგეს მუშაობას.

დეპარტამენტის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა გატარებულ იქნას საკანონმდებლო წესით.

შტატ-გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა დაკმაყოფილება.

გადაიდოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში 13,220 მან. 10 მილიონიან ფონდიდან შტატ-გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლათ.

მოწოდება

თავზარდამცემი უბედურება დაატყდა საქართველოს.

ქართლის გული—ქალაქი გორი და ახლო-მდებარე სოფლები მიწის ძვრამ ნანგრევებად აქცია.

ვისაც თავისი თვალით არ უნახავს მიწის-ძვრის შედეგი, ვერ წარმოიდგენს ამ უბედურების მთელ საშინელებას.

საუკუნოების შროშითა და ამაგით გაშენებული მიდამოები გავერანდა, არარაობათ იქცა.

მიწის-ძვრისაგან გორს გარდა განადგურდა 47 სოფელი. ქ. გორსა და ოც დაზარალებულ სოფელში სულ ველა შენობები დანგრეულია; დანარჩენ ოცდაშვიდ სოფელში შენობების ნახევარი ლა გადაურჩა დანგრევას. ოთხმოცი ათასი სული დარჩა უბინაოდ. ორასი სული ნანგრევებ ქვეშ დაიმარხა, სამასი—მძიმეთ დაშავდა.

ეს რაც გამორკვეულია. ნანგრევების გადათხრისათანავე მსხვერპლის რაოდენობა თან და თან იზრდება.

ნანგრევებში დამარხულია მცხოვრებთა სარჩო საბადებელი. შინაური საკონელი თითქმის მთლად დალუპა. ენით გამოუთქმელია დაზარალებულ მკვიდრთა მდგომარეობა.

გადარჩენილი შინაური პირუტყვი დამფრთხალი და გაფანტულია. ასეთია დაზარალებულთა ნივთიერი მდგომარეობა.

ხოლო სულიერი ვითარება—უფრო შემაძრწუნებელია.

ძალა-დაკარგულნი, გრძნობა-დაჩლუნგებულნი, სასოება მიხდილნი, ნების-ყოფის დამბლა დაცემულნი,—თითქმის ყველანი ბავშვსავით უილაჯონი არიან.

ყოველი ლონისძიება იქნა მიღებული, რომ დაუყონებლივ დახმარება გაეწიოს დაზარალებულ მკვიდრთ. მთავრობამ დაარსა საგანგებო დახმარე კომიტეტი, რომლის მეთხებითაც უსახლკაროთ დარჩენილთა ერთი ნაწილი გახიზნულ იქნა ტფილისსა და მიწის ძვრისაგან გადარჩენილ ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში. უბედურების ადგილას დარჩენილთა თავშესაფარად—დაიდგა კარვები. ყველგან საექიმო რაზმებია დაგზავნილი. ხალხს უფასოდ ეძლევა სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი, ხე-ტყე, საალმშენებლო მასალა დროებითი თავშესაფარის ასაგებად.

დამფუძნებელმა კრებამ გადასდო ოცი მილიონი მანეთი, დაადგინა ხე-ტყე და ყოველგვარი საამშენებლო მასალა, წამალი, ტანსამოსი და სხვა უფასოდ დაეთმოს დაზარალებულთ.

მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ პირველი დახმარება. ეს არის მხოლოდ დიდი ჭრილობის ტკივილის პირველი სალბუნი.

საჭიროა ამ საშინელი იარის სრულიად განკურნება, ქალაქ გორისა და მისი განადგურებული სოფლების მკვდრეთით აღდგენ; იმ ადგილებში კვალად სიცოცხლის ამოძრავება, ნაქალაქევის ქალაქად და ნასოფლარის სოფლად გადაქცევა.

ამის უცილობელი სურვილი აქვს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას,—ამას ჰკიქრობს საქართველოს ერის მთლიანი გული, თვითეული მოქალაქე.

ამისათვის კი საჭიროა—მძლეთა მძლე ენერგიის მოკრება.

ამის განპორციელება შეუძლიანთ არა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ ორგანიზიციებს,—არამედ მთელ ხალხს, დიდიან-პატარიანად.

ამ უწმინდესი საქმის მონაწილე უნდა გახდეს ყველა, ვის გულამდისაც კი მიაღწევს გორის უბედურების სიმწვავე, ვისაც შეუძლია წარმოიდგინოს ერთი წუთით მაინც თავისი თავი უბედურთა მაგიერ; წარმოიდგინოს გაცრეცილი, შიშველ ტიტველთა ძუძუმწოვარა ბავშვები სუსხიან ზამთრის ანაბარად, იქვე, თოვლზე მშიერიარე დედაკაცები. წარმოიდგინოს ასეთი სურათები ასობითა, ათასობითა და ათი ათასობითა და ეხლოდ მაშინ იგრძნობს იგი თუ რამდენად ბედნიერია, რომ გადურჩა სტიქიონის მძვინვარებას. ამ ბედნიერების განცდა ტ ადამიანური გრძნობა ავალებს მას—ბედისაგან განწირული მოძმის მიმართ მოიქცეს ისე, ვით შეშვენის ჭეშმარიტ მოქალაქეს.

მხოლოდ მთელი ხალხის ერთ განუწყვეტელ ფერხულში ჩაბმას შეუძლიან აღადგინოს ნანგრევებიდან გორი და მისი განადგურებული სოფლები.

და აღმშენებლობითი ენერგია ქართველი ერისა თვისი ძლიერებით უნდა იყოს სტიქიონური იმგვარადვე —როგორც თვით განმანადგურებული ძალა ბუნებისა.

ხალხს ძალუძს მოახდინოს ეს სასწაული; მის წმინდა სურვილს, მის უდრეკ ნებისყოფას,—მოქმედების სახით გამოხატულს, შეუძლიან სტიქიონის ძალა მოიპოვოს.

დამფუძნებელი კრება,—ამ რწმენით აღსავსე, მოუწოდებს მთელ ერს და თვითეულ მოქალაქეს კერძოდ.

ქართლის გულის უბედურება ჩასთვალეთ საკუთარ უბედურებად ყველამ—დიდმა თუ პატარამ, გაიღეთ წვლილი დანგრეული მიდამოების აღსადგენად.

არც ერთი დაზარალებული არ უნდა მოსწყდეს თავის ნასახლარს, არც ერთი არ უნდა გადაიქცეს ბოგანოთ.

შეწირულების გაღებაში ქალაქი ქალაქს უნდა ეცილებოდეს, თემი თემს, მოქალაქე მოქალაქეს.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი თავისი ძალ-ღონის ანაბარა არ დარჩება განადგურებულ ადგილების აღდგენის საქმეში და სხვა ერთა შორისაც ჰპოვებს იგი თანაგრძნობას.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

გათუმის არჩევნების გარშემო.

ხულიგანური ბათუმის გაზ. „ნაშ კრაი“ სწერს: ბათუმის ქალაქის გამგეობის არჩევნებმა ცხად ჰყვეს ქართველების ორგანიზაციული ნიჭი და ბათუმის რუს მოსახლეობის კი სრული უმოქმედობა და პოლიტიკური გაუწრთვნელობა.

საქმე იმაში კი არ არის, რომ 1 ნომრის აშკარა ან საიდუმლო ანექსიონურ ტენდენციებს, რუსული სიის რაიმე „თვითმპყრობელობით“ ტენდენცია დაუპირდაპიროთ.

ყოველივე მას, რაც ხდება ტფილისის ან სხვა პარლამენტებში, ჩვენ მზათ ვართ ეუროთ დამშვიდებით, და არამც თუ დამშვიდებით, არამედ კეთილი თვალითაც კი, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ რუსეთის საბოლოო გამარჯვებაში.

საქმე ხუნდებში კი არ არის. აი რა არის დამლუპველი. ამ ყველაზე უფრო საშინელ მომენტში ჩვენს ისტორიაში, ჩვენ არამც თუ ვცდილობთ ჩვენს უდიდეს კულტურის დაც-

ვაზე, არამედ ჩვენ თავზე ზრუნვის უნარიც კი არა გვაქვს.

ნუ თუ აშკარა არ არის ის, რომ ჩვენს დროში, როდესაც იარაღის ჩხარუნში იკარგება ყოველივე კანონიერების ხმა, მათზე საჭირო ყვირილი—დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე წარმომადგენლობას. და ჩვენ? რას შვრებიან ჩვენი „საუკეთესო კაცები".

ნუ თუ მათი მოქმედება № 6 სიის პირდაპირ სასაცილო ლოზუნგებს ვერ გასცილებია?

„ხმა მიეცით ჩვენ სიას, რათა თავიდან აიცდინოთ ხმების დანაწილება".

ეი მთელი „პროგრამა"!

ანა ვინ გაჰყვება მას?

რა არის ეს? მონობა, შიში და სიჩუმით თავის აზრების დაფარვა. ანდა სრული გულგრილობა და თავ-მომაბეზრებელი ხეგარის თავიდან აცილება?

გამოფხიზლდით მოქალაქენო!..

მინათ-მოქმ. საქმინისტროში.

დასავლეთ საქართველოს ტყის მსახურთა ყრილობა.

22 მარტს ქ. ქუთაისში შესდგება ტყის მცველთა და მსახურთა ყრილობა საქართველოს სატყეო იაპექტორის თავმჯდომარეობით. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ: 2 უფროსი სატყეო რევიზორი, სარაიონო სატყეო რევიზორები, გუბერნიის ყველა ტყის მცველები და აგრეთვე ერობათა, ქალაქთა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. ყრილობა გაგრძელდება 4 დღეს. ყრილობის მიზანია: 1) ტყეების დასაცველათ ზომების შემუშავება, 2) სატყეო სიმდიდრის სწორი ექსპლოატაციის საშუალებათა შემუშავება, 3) სწორი ზედამხედველობის დაწესება და ადგილობრივ სატყეო აგენტებისათვის მოქმედების კონტროლის გაწევა.

გზათა დეპარტამენტში

დაჯილდოება და მადლობა

გორში ძიწის ძვრის დროს სახაზინო რკინის გზების ზოგიერთმა მოსამსახურეებმა სამაგალითო სიმხნეე გამოიჩინეს და მიუხედავად მოსალოდნელ უბედურებისა, სამსახურის მოვალეობას მტკიცედ ასრულებდენ, რისთვისაც ეცხადებათ მათ რესპუბლიკის მთავრობის სახელით მადლობა და ეძლევათ ჯილდოდ: ლიანდაგის მე 6 უბნის უფროს ინჟენერ-ტეხნოლოგს ბ. მესოედს ენერგიულ მუშაობისათვის რკინის გზის მოძრაობის აღსადგენად 3 ათასი მან., მის თანაშემწეს ა. ხ. ხუმარაძეს დროზე სათანადო ზომების მიღებისთვის, რათა არ შეწყვეტილიყო სარკინისგზო მოძრაობა—2000 მან., მე 50 სოსტატოს დამსახურებულ ოსტატს ს. ს. ნასიძეს 2000 მან., მე 46 სოსტატოს ოსტატს საყვარელიძეს 1500 მ., მე-43 სოსტატო ოსტატს სანაძეს 1500 მან., მე 45 სოსტატო ოსტატს ნავრუზაშვილს 1500 მან., ბორტელის უფროსებს შაქარაშვილს და ვარძელაშვილს 1000 მან. თითოს, უფროს მუშებს ტატიშვილს და მამაჯანოვს 2000 მ., თითოს, იმისათვის, რომ მიუხედავად მოსალოდნელ სიფათისა, მუშაობდენ დანგრეულ შენობებში სხვა და სხვა ქონების და ტეხნიკურ მოწყობილობის გადასარჩენად და დაუყონებლივ ასრულებენ თავიანთ უფროსების განკარგულებებს.

ექსპლოატაციის სამსახური

მოძრაობის ნაწილის მეოთხე უბნის რევიზორს ჩუბინიძეს 2000 მან. ენერგიულ მუშაობისათვის მოძრაობის აღსადგენად, გორის სადგურის უფროს კვინიკაძეს 3000 მან., სკრის სადგურის უფროს დათაძეს 3000 მან. იმისათვის, რომ მიუხედავად მიწის ძვრისაგან გამოწვეულ საშინელ ოჯახურ მდგომარეობისა, პირნათლად ასრულებდენ თავის მოვალეობას და დაუყონებლივ აღადგინეს ტელეგრაფი რათა სწრაფად ეცნობებიათ სამართველოსთვის მომხდარ უბედურების შედეგები, და თავის მაგალითით შეიტანეს წესიერება სხვა აგენტების მუშაობაში, ტელეგრაფის ზედამხედველს ბაბიჩევს 1500 მან., ტელეგრაფის მოხელეებს ებანოიძეს 750 მან., გოგოლაძეს 750 მან., მაბარობლიძეს და ხუციევს 500 მან. თითოს, გრაკალის სადგურის უფროს თუხარელს 1500 მან., უფლისციხის სადგურის უფროს დოლოძეს 1500 მან., სკრის სადგურის უფროსის თანაშემწეს გრიგოლიას 1500 მან., დაუღალავი მუშაობისათვის და წესიერების დროზე აღდგენისათვის. სადგურ გრაკალის უფროსის თანაშემწეს ჩიქოვანს 500 მან., გუჯუთოვს 500 მან., ტელეგრაფის მოხელეებს მაღალოვს 500 მან., საცერიძეს 500 მან., ტერ-აბრამოვს 500 მან., მეისრეებს: მღებრიშვილს 500 მან., მირზაშვილს 500 მან., ჯანეზაშვილს 500 მან. ახობაძეს 500 მან., ბერიაშვილს 500 მან., მამათმთავრიშვილს 500 მან., ქვრივიშვილს 500 მან., მოსამსახურეს მღებრიშვილს 500 მან.

სამეჯანიკო სამსახური.

მემანქანე პარტახიას 750 მან., მემანქანე ბულაძეს 500 მ., გამხურებლებს: ბარმანტოვს 750 მან., ბალიძეს 500 მ.ნ.

ნავთსადენის სამსახური.

გორის ნავთსადენის სადგურის უფროსს მაჩაბელს და იმავე სადგურის ზეინკალს თაიროვს ეცხადებათ მადლობა და ეძლევათ ჯილდოთ 2000 მან. თითოს მიწის ძვრის დროს განსაკუთრებულ ზომების მიღებისათვის და ნავთსადენის მოსალოდნელ უბედურებისაგან აცდენისათვის, იმავე ნავთსადენის მოსამსახურეებს ედიშერაშვილს და ღლენტს 1000 მან. თითოს.

წინადადებას ვაძლევ სახაზინო რკინის გზათა სამართველოს დაუყონებლივ შეიტანოს ზემო აღნიშნულ პირების სამსახური სიებში მადლობა და აუნუსხოს სამაგალითო სამსახურის გაწევისათვის დანიშნული ჯილდო.

გზათა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე.

ევროპა

სიღნაღის სამაზრო ერობაში.

სიღნაღის ერობამ შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი მოხსენება წარუდგინა თანხის მიცემის შესახებ:

გასულ წელს სიღნაღის სამაზრო გამგეობის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით მაზრაში მოსავალი იყო: ხორბალი 4.167-899 ფ., ქერი 1.233 816 ფ., ფეტვი 622.105 ფ. და სიმინდი 1.511.960 ფ. სულ 7.535.780 ფ. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსავალი ფაქტიურად მეტი იყო და ამას გვაფიქრებინებს მოსაზრება, რომ ჩვენ მეფურნემ იშვიათად რომ ნაკლები არა სთქვას აქედან მაზრას სჭირდება ხალხისა და პირუტყვის საკვებად და სათესლედ 5.862.492 ფ. ასე, რომ რჩება 1.763.288 ფ. ხორბლეულობა. იმავე სტატისტიკურ განყოფილების ცნობით წესეტემბერში გაუტანიათ რკინის გზით 72.040 ფ. და თუ ვივარაუდეთ, რომ წელიწადში რკინის გზით უზიდნიათ მხოლოდ ცხრა თვე, მაზრიდან გაუტანიათ რკინის გზით 648 260 ფ. ხორბლეულობა. წარსულ წლის ნოემბერში, როდესაც გაძლიერებულია ხორბლეულობის შესყიდვა, საერობო გამგეობის მიერ შეკრული იყო გზა და რადგანაც ეს კერძო ჩარჩ სპეკულიანტებს ვერ შეაჩერებდა, ხორბლეულობა გაიზიდებოდა ურმებით. მაშასადამე გაზიდულ ხორბლის რაოდენობა უფრო გადიდდება. წელს სამეწადმოქმედების სამინისტროს სავალდებულო დადგენილების ზეგავლენით გადიდდება ნიადაგი ნახნავებისა, მერე კარგ მოსავლიანობას ხელს უწყობს აგრეთვე ამინდიც და მოსალოდნელია წრეულს გაცილებით მეტი მოსავალი შარშანდელთან შედარებით.

მაზრიდან გაზიდულს პურიდან ერობამ მთავრობას გადასცა 14967 ფ. 26 გირ. დანარჩენი კი გაზიდეს სხვა და სხვა უწყებათა რწმუნებულებმა და კერძო პირებმა.

სურსათის დაგროვებას და შემდეგ მცხოვრებლებზედ განაწილებას სიღნაღის სამაზრო ერობამ დროზედ მიაქცია ყურადღება, შეჰქმნა ერთგვარი ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდენ აგრეთვე ადგილობრივ წვრილ ერთეულთა გამგეობანი, მაგრამ ერობის მიუჯეტი არ იქმნა საკმარისათ დიდძალი სურსათის შესაძენათ და ამიტომ სურსათის შეძენა თავის თავად გადავიდა სხვა და სხვა უწყებათა რწმუნებულების და კერძო პირების ხელში. კერძო პირებმა ისარგებლეს სიღნაღის ერობის გაჭირვებულ მდგომარეობით და შეისყიდეს ხორბლეულობა თავისუფალ ფასებში იმ დროს, როდესაც პურის ხორბალი ფასობდა 120—130 მანეთად და ელოდნენ, როდესაც პურის ფასიც აიწევდა უმაღლეს წერტილამდის. თქმა არ უნდა რომ ასეთ ულმობელ ზრდას ფასებისას ალაგი არ ექნებოდა, რომ ხორბლეულობა დაგროვებული ყოფილიყო ერობის ხელში.

მიმდინარე წლისათვის სიღნაღის სამაზრო ერობას განზრახული აქვს აწარმოოს დიდი ოპერაციები: შეიძინოს ხორბლეულობა, მატყელი და თამბაქო, დაამზადოს შეშა და თივა, დასწვას ნახშირი, დაამზადებს ყველს და ერბოს და ყველა ამას იმ ზომით რომ, დაკმაყოფილოს მაზრის მცხოვრებნი და რაც შეიძლება ბლომად მიაწოდოს, როგორც მთავრობას, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებებს. მაზრის გარეშე ბაზარზედ ბრინჯი, ნავთი, მარილი, საპონი, მანუფაქტურა, შაბიამანი, გოგირდი და მიაწოდოს მაზრას, ამისათვის სიღნაღის სამაზრო ერობა აფგართოებს სასურსათო განყოფილებას დასახულ გეგმის მიხედვით. დაიხმარებს მაზრაში მყოფ კოოპერატივებს, წვრილ ერთეულთა გამგეობებს და ჰქნის მთელს შტატს აგენტებისას და ყველა რაიონში სურსათ-სანოვაგის შეძენა ექმნება დავალებული იმას, ვინც მეტს საქმიანობას გამოიჩენს ამ დარგში. ამ გეგმის განსახორციელებლად სასურსათო განყოფილება მოითხოვს 15 მილ. მანეთს, როგორც საწარმოო თანხას. სიღნაღის სამაზრო ერობა კი წლეულსაც, ისევე როგორც შარშან განიცდის ფინანსიურ კრიზისს და ამიტომ შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მიეცეს მას 15 მილ. მანეთი საწარმოოთ თანხიდან უპროცენტო სესხის სახით ორი წლის ვადით, უკანასკნელ შემთხვევაში კი ერთის წლით, რომ შესძლოს პირნათლად შეასრულოს დასახული სასურსათო გეგმა.

სიღნაღის მაზრა მთელს რესპუბლიკაში არის ეკონომიურად უძლიერესი მაზრა. ამას გარდა გვერდით აკრავს არა ნაკლებ მდიდარი მხარე ზაქათალის ოლქი, სადაც შესაძლებელია ვიქონიოთ საკომერციო დამოკიდებულება და ყველა ეს სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობას აფიქრებინებს რომ ის შესძლებს მოაწოდოს მთავრობას არა ნაკლებ 1500000 ფუთი ხორბლეულობა და ამას სთვლის ერთგვარ საწინდრათ იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეკმაყოფილებს გამგეობის შუამდგომლობას.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგ.)

ფრანგული ცნობები.

„პტი პარიზიენის" მიერ ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად პარასკევს უმაღლესი საბჭო იხილავდა ოსმალეთის საკითხს. დილის სხდომა მოანდომეს ხელშეკრულობის ფინანსიურ პირობათა განხილვას, იქ მოუსმინეს ვენიზელოს. პრინციპიალურათ გამოარკვიეს საბერძნეთის წილი ოსმალეთის ვალში ფრაკიის დიდი ნაწილის ოსმალეთის სახელმწიფოსადმი შეერთების დროიდან და მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილებანი სმირნის შესახებ. დღის სხდომაზე, ლოიდ ჯორჯის თანდასწრებით, ირჩეოდა საკითხი ალმოსავლეთის დემონსტრაციის შესახებ, ამის საბაბი იყო ინგლისის უმაღლეს კომისრის დაუცხრომელი მოხსენებანი (სამი სიტყვა გამოტოვებულია)... ან და სპარბობს მუქარა უწესოების მოხდენისა. ინგლისურ ცნობების თანახმად მცირე აზიაში, მარაბსა და ეინტაბში, სულ უკანასკნელი 15,000 სომეხი ამოჟლიტეს, კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ამგვარ პირობებში, აუცილებლად საჭიროა მოკავშირენი ენერგიულად მოექცენენ და ოსმალეთში ახალი ძალები გაგზავნონ. ჯერ ჯერობით კი სტამბოლის მთავრობას წარუდგენენ მოთხოვნილებებს და თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, უმაღლესი საბჭო მოქმედების დასაწყებათ ყოყმანს არ დაიწყებს მეორეს მხრივ პარიზის კონფერენცია გაეცნო ნიდერლანდიის მთავრობის პასუხს მოკავშირეთა მეორე ნოტაზე ექს-კაიზერის გაცემის შესახებ. ამ ნოტის განხილვა და მაზე პასუხი გადაიდო შემდეგისთვის.

რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვაიდა ვოევოდან პარასკევს, ლონდონში უმაღლესმა საბჭომ ამცნო, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს იცნონ ბესარაბიის და რუმინეთის კავშირი. გადაცემულ სამუთში საბჭო რუმინეთს ურჩევს, რომ დაიჩქაროს ევაკუაცია სამხრეთ უნგრეთისა, რომელიც ეხლა რუმინეთის ჯარს უჭირავს. ევაკუაცია უკვე დაიწყო.

სახელმწიფო საბჭომ კენჭი უყარა შვეიცარიის ერთა ლიგასთან შეერთებას და მიიღო 30 ხმით 6-ის წინააღმდეგ.

ჰაგიდან იუწყებიან: პალატამ 31 ხმით 2-ს წინააღმდეგ მიიღო კანონ-პროექტი ნიდერლანდიის ერთა ლიგასთან შეერთების შესახებ.

მადრიდიდან იუწყებიან: საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვის გამო, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო პორტუგალიაში, გადადგა სამინისტრო, რომელმაც პარლამენტში მცირე ხმა მიიღო. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დემოკრატების მეთაურ ანტონიო მარია სილვას მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა.

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით უმაღლეს პალატას 190 ხმით 48 ხმის წინააღმდეგ მიუღია გადაწყვეტილება შვეიცარიის ერთა ლიგასთან შეერთების შესახებ.

ქრისტინიდან იუწყებიან: სტორტინგმა უარყო სოციალისტურ ნაწილის წინადადება ნორვეგიის ერთა ლიგასთან შეერთებაზე, რომ უარი განეცხადებინათ. წინადადება ნორვეგიის ერთა ლიგასთან შეერთების შესახებ მიღებულ იქმნა 100 ხმით 20-ს წინააღმდეგ.

ამ დილით ელჩთა კონფერენციას აცნობეს, რომ იაპონიამ სომხეთის რესპუბლიკა „დეფაქტო" იცნო,

ლიონის იარმარკაზე აფარებული ხალხია. ყიდვა გაყიდვა გაცხარებულათ სწარმოებს ფინანსთა, ვაჭრებისა და ახალშენთა მინისტრები იარმარკას ხვალ ინახულებენ.

ეკონომიურ მანიფესტის ტექსტი, რომელიც გუშინ პარიზში დეპეშით მიიღეს, ეხლა უნდა მოიწონოს საფრანგეთის მთავრობამ.

პარიზის ბირჟის საქმეები საფცხოვოდ მიდის. განსაკუთრებით კარგათ მიდის ფრანგული რენტა. სხვა ქალალდების საქმეც მტკიცედაა.

„ტანი" შემდეგ ცნობებს გვაწვდის უმაღლეს საბჭოს ეხლანდელ გასარჩევ საკითხთა შესახებ: იმ დეკლარაციის ტექსტი, რომელიც უმაღლესმა საბჭომ ლონდონში გამოიმუშავა პარასკევს სალამოს გამოსცეს პარიზში მთავრობის დასადასტურებლად. რაც შეეხება ნიდერლანდიის მთავრობის პასუხს ვილჰელმ მე II-ის შესახებ,—მისი ოფიციალური ტექსტი გადასცეს ლონდონში, სადაც იგი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს. შეერთ. შტატების ახალი ნოტა აფრიატიკის პრობლემის შესახებ დილით ოფიციალურათ კიდევ არ იყო შეტყობინებული პარიზში.—„ტანი" ფიქრობს, რომ ოსმალეთთან დასადებ ხელშეკრულების გამომუშავებას მოკავშირენი მოუნდებიან კიდევ მე 14 დღეც. თითქმის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულება იმ სახით, როგორათაც ეს ეხლა არის გამომუშავებული გატარებული, თუ მოკავშირენი არ მიიღებენ ზომებს. (ბოლო არ მიგვიღია)...

ფრანგული პრესა

ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმათ ამ ცოტა ხნის წინეთ სახელმწიფო ხაზინის კანცლერსა და საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ინგლისა-საფრანგეთის იმ სესხის გადახდის შესახებ, რომელიც გამოიმუშავეს მათ 1915 წელს ამერიკაში და რომლის გადახდის ვადაც მოახლებულია, ინგლისა და საფრანგეთის მთავრობამ ურთ ერთი შეთანხმებით გადასწყვიტა ალარ განახლონ ეს სესხი და მიიღონ ზომები მის გადასახდელათ.

ფინანსთა მინისტრმა მარსალმა და ვაჭრობის მინისტრმა იზაკმა „დიდის ამბით გახსნეს ლიონის იარმორკა. ქალაქში არაჩვეულებრივი სიცხოველეა. ყველა საზოგადო სახელი მორთულია. საფრანგეთიდან და უცხოეთიდან მოსულთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ლიონის იარმორკა დიდი გამარჯვებაა. იგი ამტკიცებს საფრანგეთის მრეწველობის აღდგენაში ბრწყინვალე ნიჭს გამოჩენას სავაჭრო პალატამ მთავრობის წარმომადგენლები ბირჟის შენობაში მიიღო. ფრანსუა მარსალმა წარმოსთქვა სიტყვა საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და მხურვალ აგიტაცია გასწია ეროვნულ სესხის სასარგებლოდ თავის სიტყვაში ვაჭრობის მინისტრა იზაკმა სათანადოთ მოიხსენია ფრანგი მიწადმოქმედნი, რომელთაც ომის დროს სამშობლოს დიდი სამსახური გაუწიეს, როგორც ფრონტზე, აგრეთვე ზურგს უკან. ისინი ხელს უწყობდნენ შრომის ნაყოფიერების შესაძლებელ მაქსიმუმამდე აყვანას და ამ ნაყოფიერებას ისინი კიდევ უფრო ასწევენ და ინტენსიურად გახდიან. ამ ჟამად აუცილებელი სურსათ-სანოვაგე ჩვენ შემოგვაქვს საზღვარ გარეთიდან, რაც ვალიუტას საშინლადა ნცემს. ორთავე მინისტრს დიდხანს ტაშს უკრავდენ.

საგარეო საქმეთა და სამხედრო შეერთებულ კომისიების წინაშე მილიერანმა მოხსენება გააკეთა გერმანიის, რუსეთის და ლევანტის მამართ მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

ჰოლანდიის მთავრობის პასუხი მოკავშირეთა მოთხოვნილებაზე უარყოფითია.

დღემდის არავითარი ცნობა არ არის გენერალ ლაპერანგის შესახებ, რომელმაც გადასწყვიტა ჰაეროპლანით სახარაზე გადაფრენა.

სხვა და სხვა.

სამგზავრო ტარიფი ტფილისიდან:

	I კლ.	II კლ.	III კ.
მცხეთამდის	45	27	18 მ.ნ.
გორამდის	161	97	65
ბორჯომამდის	318	191	128
შორაპნამდის	372	224	189
ქუთაისამდის	431	259	173
სამტრედიამდის	464	279	186
ფოთამდის	555	333	222
ბათუმამდე	645	387	258
სენაინამდის	233	140	93
ახსტაფამდის	198	119	80
განჯამდის	386	232	155

ეკლესიამდის	480	288	192
ჟიურ-დამირამდე	609	366	243
ეჯიკაბულამდე	720	432	288
ბაქომდე	870	522	348
ბათუმ. ბაქომდე	1170	702	468

ბავშვები იხთიან მეოთხედს.

✦ 8 მარტიდან ტფილისის საგზრეშუმო სადგურზე დაიწყო აბრეშუმის თესლის გაყიდვა. მცირე ნაწილი ამ თესლისა დამზადებულია ტფილისის საგზრეშუმო სადგურზე. დიდი ნაწილი კი შეძენილია მომარაგების სამინისტროს მიერ საფრანგეთში. ფასი მისსახელი 50 მან.

✦ 10 მარტიდან დაიწყება სამგზავრო ბატარეიდის მიმოსვლა ტფილის-ერევანს შუა.

✦ განათლების სამინისტროს საძიებელი კომიტეტი უკვე შეუდგა ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოების განხილვას პირველ რიგში განხილული იქნება ს. ხუნდაძის გრამატიკა.

✦ ამ დღეებში ამერიკელი მილიარდერი დ. ვ. აბაშიძე, რომელიც 19 წლის წინათ ამერიკაში გაიქცა, და ვაჭრობა-მრეწველობას მიჰყო ხელი. დ. აბაშიძე უკანასკ. ხელ ხანს ამერიკის მსხვილ ტრესტების პრეზიდენტათ იყო. მისი ჩამოსვლის მიზანია საგაჭრო სამრეწველო ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ამერიკის შორის. დავ. აბაშიძემ რამდენიმე მილიონი შესწირა გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. კვირას, 7 მარტს დავ. აბაშიძე მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა.

✦ 23 თებერვალს საქართველოს წარმომადგენელი კოსტანტინეპოლი ბ. რცხილაძე იყო სადარბაზოდ საბერძნეთის პატრიარქთან და გადასცა მას საქართველოს კათალიკოზ ლეონიდ 1-ს წერილი, და გადასაცემად სამი წერილი საბერძნეთის პატრიარქებს ერუსალიმში, ანთიოქიაში და ალექსანდრიაში. ბ-ნი რცხილაძე იყო მიღებული დიდის პატივით.

✦ რევოლიუციის მესამე წლის თავის აღსანიშნავად პარასკევს, 12 მარტს სახალხო უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი გამართავს დიდ საღამოს, საღამოზე სიტყვას წარმოსთქვამს ქართულად ევგ. გეგეჭკორი, რუსულად ლევ. კრემერი.

✦ საურსათო განყოფილება და საროიონო სავაჭროები შეუდგენ სანოვაგის განაწილებას მუშათა და მოსამსახურეთა შორის. იძლევა სულზე 1 გირვანქა შაქარი იანვრის ტალონით, ბრინჯი 2 გირ., ჩაი $^1/_2$ გირ. და ორი კოლოფი წუმწუმა. 5 მარტიდან დაიწყო აგრეთვე მომარაგების სამინისტროს მუშათა მაგიდამ ნავთის მიცემა საროიონო კომიტეტებისათვის ძველი ნორმითა და ფასით.

✦ ესტატე ბიბინაშვილი აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ის ამ ახლო ხანში მიემგზავრება შავი ზღვის გუბერნიაში, გაივლის ტუაპსეში, სოჩაში და გადავა სუხუმის სხარეშიაც, თუ ვინმეს რაიმე მცირე ამანათი ან წერილი აქვს გასაგზავნი ხსენებულ ადგილებში გადასცეს მას წასაღებად. წერილები მიიღება ტფილისში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში, ხოლო თელავში, სოფ. ჭანდრის უბანში ესტატე ბიბინაშვილთან.

✦ დასავლეთ საქართველოდან ჩამოვიდა მეაბრეშუმეთა საზოგადოების დელეგაცია და წარუდგა დამფ. კრების პოზიციუმს, მთავრობის თავმჯდომარეს, ფინანსთა და მომარაგების მინისტრთ, ისინი მოითხოვენ, რათა ზამორთმეულ აბრეშუმის პარკზე გავრცელდეს საერთო სამონოპოლიო კანონი.

ხელოვნება

შალვა დადიანის წარმოდგენა.

ორშაბათს, მარტის 10 ს არტისტიულ თეატრში შალვა დადიანი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მისივე ორიგინალური პიესა „გეგეჭკორი“. პიესა იდგმება პირველად ქართულ სცენაზე, სიუჟეტი აღებულია სამეგრელოს წარსულ ცხოვრებიდან. უმთავრესი ძალები განაწილებულია შ. დადიანის ნინო დავითაშვილის, ვალ. გუნიას და ბიბ. ჭიჟურელის შორის.

ივ. სარაჯიშვილის ბენეფისი.

მომღერალ ივ. სარაჯიშვილისს საბენეფისოდ დაიდგმება მეირბეირის ოპერა „ჰუგენოტები“ ივ. სარაჯიშვილი რაულის პარტიაში გამოვა.

ოპერა.

ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში გაანახლებენ რ. ვაგნერის ოპერას „ლეონგრინს.“ მზადდება დასადგმელად გლუზოუ ცვის ახალი ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ სიუჟეტი ლეონიდ ანდრეევის პიესიდან არის აღებული.

ნ. კოშიცის გასტროლები.

კოშიცის გასტროლები შესდგება კიდევ ოპერა „ტოსკაში“ და „ბოგემაში“

მწერალთა კონფერენცია.

მწერალთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე საბოლოოდ შემუშავებულ იქნა მწერალთა სია, რომელთაც მონაწილეობის უფლება აქვთ სრულიად საქართველოს მწერალთა კონფერენციაზე დასწრებისა. კონფერენციის მოწვევა დანიშნულია 2 აპრილისათვის.

მწერალთა კრებული.

მწერალთა საბჭოს მიერ არჩეული სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დავალებული აქვს მწერალთა კრებულის შედგენა, აგროვებს მასალებს, წიგნის ბეჭდვას ამ დღეებში შეუდგებიან. წიგნი იქნება 400 გვერდი.

ბელეტრისტი მელანია.

ბელეტრისტ მელანიას წელს შეუსრულდა 40 წელი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისა. მის სრულ ნაწარმოებთა კრებულს გამოსცემს წ. კ. გამ. საზოგადოება.

სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა საოლქო სასამართლოს პირველი სხდომა.

8 მარტს შესდგა პირველი სხდომა ნაფიცმსაჯულთა საოლქო სასამართლოსი. სასამართლოს განსახილველი ჰქონდა ორი საქმე ქურდობის შესახებ. 33 ნაფიც მსაჯულთა შორის 14 ქალია. ნაციონალური შემადგენლობითა: 25 ქართველი, 5 სომეხი და 3 რუსი.

სხდომას თავმჯდომარეობს მ. ორჯონიკიძე. ბრალმდებლად გამოვიდა საოლქო სასამართლოს ბრალმდ. ამხ. შ. დადიანი, ხოლო დამცველად ნაფ. ვუქილი გორდეზიანი.

პირველ სხდომას დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანია, დამფ. კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, დამფ. კრების წევრები, სენატორები, წევრები სასამართლო უწყებისა და ადვოკატურის წარმომადგენლები.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე ორჯონიკიძემ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა და აღიარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეფორმაციის ერთ სერიოზულ მონაპოვრათ.

სასამართლოს 33 წევრისაგან სხდომაზე ჩამოცხადდა მხოლოდ 20, სასამართლოს ერთმა წევრმა (ქალი) ყურთა-სმენის ნაკლებობის გამო ითხოვა განთავისუფლება, რაიც შესრულებულ იქნა. ფიცის მიღების დროს მდივანმა მსაჯულებს მიმართა შესაფერი სიტყვით.

სასამართლოს თავმჯდომარეს წევრებს აუხსნა ამ სასამართლოს მნიშვნელობა და წოდებულობა, შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ.

შემოწირულება

მიწიძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა შემდეგი შემოწირულებანი მიიღო:

„სახალხო საქმის“ რედაქციისგან—23,500 მან., საგარეო საქმეთა სამინისტროდან—75000 მან. ქალქის მოურავის ჩხიკვიშვილისაგან—80,750 მან., ჩინიჯიშვილისაგან—100,000 მან. ვ. ხახანაშვილისგან 3,620 მან, ბურჯანაძისაგან—3525 მ., გაზ. „ვოზროჟდენიე“-სგან—100,000 მ., შალვა ჭყონიასგან ბათუმში შეგროვილი—747,400 მ., ნიკ. კიკნაძისაგან—13,000 მან., „საქართველოს“ რესპუბლიკისაგან“—26,105 მ., თელავის თვითმმართველობისაგან—25,000 მან., კ. ხახანაშვილისაგან სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენის შემოსავალი—101,150 მან., არსენოვის მიერ ბორჩალოს მაზრაში შეგროვილი—117,000 მან., სომხის სკოლების მოწაფეთაგან—14,966 მ., სომხურ კლუბისაგან—115,730 მ., ყორლანოვისგან—30,685 მ., არჩ. ჯაჯანაშვილისაგან—26,422 მან.

მიმდინარე თვის 4-სა და 7-სა ქვაშვეთის ეკლესიაში შეკრებილი იქმნა გორში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის 1393 მან. 60 კ.

ფული გადაგზავნილ იქმნა საკათოლიკოზო საბჭოში.

ჩვენი ფოსტა.

ქ. იზურგეთში მომრიგებელ-მოსამართლე ბ-ნ კვირკველიას.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ № 29 ში მოთავსებული წერილი თქვენს შესახებ შეცდომით დაიბეჭდა, რადგანაც წერილის მიღების მეორე თუ მესამე დღეს მივიღეთ წერილის ავტორ „ხუსეინისაგან“ დეპეშა, რომლითაც მოგვითხოვდა არ დაგვებეჭდა მის ზედ გამოგზავნილი წერილი თქვენ წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილი უკვე დაბეჭდილი იყო. ამის შემდეგ თქვენი ვრცელი სპასუხო წერილის დაბეჭდვა ზედმეტად შიგვაჩნია.

ანცხადებანი

ვექსელ

2—3 ოთახს 1, 2, 3 ან მე-4 უბანში

ფასს არ დავიშურებ. მაცნობეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში, გრ. მეფეთრიანს.

ალშაკ მნაცაკანის ძე ნადირიოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა უფადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის კანცელარიიდან 1881 წელს. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 407 3—1

კავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს რომ დაკარგა მის მიერ, 1913 წ. 21 ივნისიდან გაცემული მოწმობა № 5146, 2000 მან. ფულის შენახვის—მარია ოსიპის ასული ფრიდენოვის სახელზე, თუ ამ განცხადების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში არ იქნება აღნიშნული მოწმობა წარმოდგენილი ბანკში—იგი გაუქმებულად ჩაითვლება. 444 3—1

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 მარტს 12 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომში, (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მეტლების ცხენის ყოფილი სტამბის ქონების (მანქანები, შრიფტები და სხვა) გასაყიდათ. პირობათა გაცნობა შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში ყოველ დღე 10 საათიდან 1 საათამდე, უქმე დღეების გარდა. 291 1—1

გაბრიელ ანდრიას ძე არუთინოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა უფადო პასპორტი, მიღებული თელავის თვითმმართველობისგან.

(უ.) 3—1

ტფილისის გუბერნიის 1 რაიონის ტყის რევიზორი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 8 აპრილს შუადღის 12 საათზე გომბორის სოფლის სამმართველოში მოხდება საჯარო ვაჭრობა განუმეორებლათ თიანეთის სატყეო უწყების მეორე ოთრის აგარაკაში ხუთი „დელიანკის“ ტყის პირწმინდათ გასაკეთებელ; ითვო დელიანკის ხივრეკ ოთხი დესეტინაა, ღირებულობით თითო 63,936 მან. დაწვრილებით ცნობებას მიღება შეიძლება თიანეთის მაზრის ტყის გამგესთან და თელავში ტყის რევიზორთან. 369 1—1

დავით მიხეილის ძე ცოცალაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 424 3—2

დაკარგულია სამინაო დავთარი მარდამ გალუსტის-ასული სარქისიანცის ქალიზე. 8 უბ. კალატოზის შესახვევი № 9. დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 432 3—2

დავით სიმონის ძე რიკრიკაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა სახელმწიფო ქალალდების დაბეჭდველ ექსპედიციიდან მოცემული წარსული წლის 29 ნოემბრის თარიღით №2217. გაუქმებულად ჩაითვალოს. 415 3—2

ილია ალექსანდრეს ძე ბაბაიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა მატარებელში თავისუფლების მოწმობა მოცემული ბათუმის საქხედრო საკრებულოსგან 1909 წელს მანდატი ბაქოს მენშევიკურ პარტიისა და ნამსახურობის მოწმობა დაბა-ციხის კოოპერატივის გამგეობისაგან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 435 3—2

საჩინო ნიკოლოზის ძე გელოვანი აცხადებს რომ მან დაკარგა უფადო პასპორტი № 6688, 5 მარტს 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 434 3—2

ნიკოლოზ ასლანის ძე ლიბრაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საცხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ბუთაისის სამხედრო უფროსისგან, პასპორტი მიღებული სვირის თემის გამგეობიდან და მეტრიკული მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 282 3—2

კალისტო ივანეს ძე ქურთუფაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსისგან № 69. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 420 3—2

სიბრძნის-მეტყველების დარგის სტუდენტი გრიგოლ თუთბერიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მატრიკული, რაც გაუქმებულათ ითვლება. 418 3—2

პავლე პეტრეს ძე ჯოჯუა აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი მიღებული ფოთის საბუღალტერო კურსებიდან № 62. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 258 3—3

დაკარგა ამა წლის 20 თებერვალს 1 სუდის სასურ. № 26747, მოცემული ტფილისის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებიდან. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: გენერალურ შტაბის განყოფილება, საკავშირო ნაწილის უფროსის თანაშემწეს პლატონ გიორგის ძე ბერძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკს გაუქმებულად ვაცხადებ. 394 3—3

გიორგი გრიგოლის ძე ღვინიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი მიღებული დუშეთის მაზ. სოფ. ახალ გორის კომისარიატიდან პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 401 3—3

ელისაბედ დიომიდეს ასული კილაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ინსტიტუტში შესასვლელი ბილეთი მიღებული ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტიდან № 389 ბილეთი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 402 3—3

გრიგოლ ივანეს ძე გურულიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი მიღებული ტფილის. მაზ. სოფ. ხატი-ტელეთის კომისარიატიდან № 63. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 392 3—3

დაკარგულია სახლის დავთარი მალაკნის ქ. № 10 უბ. სოფიო ამირბეკოვის სახელზე. დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 395 3—3

ვექილობა მიცემული ჩემს მიერ ნოტარიუსის წესით 20 აგვისტოს 1916 წელსა რეესტრით 5291 ნაფიც ვექილზე ბერძულზე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის შესახებ, დღეიდან გაუქმებულათ ითვლება. მელიტონ ილიას ძე ბაქრაძე. 393 3—3

საორგანიზაციო კომიტეტი
ქართული საგაჭრო-სამრეწველო აქციონერული ბანკის
ქ. ფოთში

ამით აცხადებს, რომ ამ კომიტეტის მიერ გაზეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში № 54 გამოშვებული განცხადება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ 14 მარტს გაუქმებულად ითვლება ახალ განცხადებამდის.

ქართული საგაჭრო-სამრეწველო აქციონერული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქ. ფოთში.

427 3—3

ამიერ-კავკასიის ბანკი

აცხადებს, რომ მარტის 15-ს 1 საათზე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ბანკში დაგირავებული სპარსული ხალიჩები, რომლებიც ვადაზე არ გამოუსყიდიათ. 428 3—3

სახელმწიფო მოსამსახურეთა
და პარლამენტის წევრთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა

იწვევს წევრთა ხალიკვიდაციო კრებას. ოთხშაბათს 10 მარტს 1920 წ. გრიბოედოვის ქუჩა № 22, საღამოს 6 საათზე; ეს მესამე კრება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. ლიკვიდაცია. 455 1—1